ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13253284**

თარიღი:**24/11/2025**

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის

დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად

1. შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის № 51 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართს დაემატოს, დანართის სახით წარმოდგენილი შემდეგი რედაქციის 77, 78 და 79 -ე პუნქტები;

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N60ა).

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

№	ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური	აუქციონის ფორმა (პირობიანი, უპირობო)	აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა	შენიშვნა
77	ავტობუსი BOGDAN A9201 გამოშვების წელი 2007, სახ. N CR733RC	ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელი სხვილისი „ფარეხა“	2 200 (ორი ათას ორასი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	
78	ავტობუსი BOGDAN A9201 გამოშვების წელი 2007, სახ. N CR734RC	ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელი სხვილისი „ფარეხა“	2 200 (ორი ათას ორასი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	
79	ავტობუსი BOGDAN A9201 გამოშვების წელი 2007, სახ. N CR735RC	ახალციხის მუნიციპალიტეტის, სოფელი სხვილისი „ფარეხა“	2 200 (ორი ათას ორასი) ლარი	ელექტრონული აუქციონი უპირობო ფორმით	გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში	